



2025 წლის ოქტომბრის თვის  
მაკროეკონომიკური გარემოს

## მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის  
საბიუჯეტო ოფისი

2025

ნოემბერი

# 2025 წლის ოქტომბრის თვის მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები\*

რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი

## 6.4%



სექტემბერი\*

რეალური მშპ-ს ზრდის ტემპის ცხრა თვის საშუალო მაჩვენებელი

## 7.7%

2025 წლის ოქტომბერში სამომხმარებლო ფასების წლიურმა ინფლაციამ 5.2% შეადგინა, ხოლო საბაზო ინფლაცია 2.4%-ით განისაზღვრა.



იანვარ - სექტემბერში\* საქონლის ექსპორტი 7.7%-ით, ხოლო იმპორტი 9.7%-ით გაიზარდა.



სექტემბერში\* ფულადმა გზავნილებმა 317.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ევროკავშირის ქვეყნები - 45.4%; აშშ - 18.8%; რუსეთი - 12.4%; სხვა ქვეყნები - 23.4%.





სექტემბერში\*, წინა თვესთან შედარებით, დოლარიზაციის მაჩვენებელი, დეპოზიტებზე გაიზარდა, ხოლო სესხებზე შემცირდა.



ოქტომბერში, წინა თვესთან შედარებით, ლარი აშშ დოლართან 0.3%-ით გაუფასურდა, ევროსთან მიმართებით კი 0.3%-ით გამყარდა.



# 1. რეალური და ფისკალური სექტორი



2025 წლის სექტემბერში\*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ეკონომიკური ზრდა 6.4%-ის ნიშნულზე დაფიქსირდა.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, 2025 წლის სექტემბერში\*, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 6.4%, ხოლო იანვარ-სექტემბრის საშუალო მაჩვენებელმა 7.7% შეადგინა.



ეკონომიკურ ზრდაში მნიშვნელოვანი დადებითი წვლილი შეიტანა: დამამუშავებელი მრეწველობა, ტრანსპორტი და დასაწყობება, ინფორმაცია და კომუნიკაცია, პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები.



დღგ-ის საწარმოთა ბრუნვის მაჩვენებელმა 2025 წლის სექტემბერში\* 15,404.9 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 9.2%-ით აღემატება.

2025 წლის ოქტომბერში სამომხმარებლო ფასების წლიურმა ინფლაციამ 5.2% შეადგინა.

ოქტომბერში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, ინფლაციის დონე 5.2%-ით განისაზღვრა, ანუ მიზნობრივი ინფლაციის 3.0%-იან მაჩვენებელზე შედარებით მაღალი. წლიური ინფლაციის ფორმირებაზე გავლენა იქონია, ძირითადად, ფასების დინამიკამ სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე, აგრეთვე - ჯანმრთელობის დაცვაზე, ალკოჰოლურ სასმელებზე და თამბაქოზე. საბაზო ინფლაცია (სურსათის, ენერგომატარებლების, სიგარეტის ფასების გარდა, რომლებიც მაღალი მერყეობით ხასიათდებიან) 2.4%-ით განისაზღვრა.

2025 წლის სექტემბერში\* მშპ-ის წლიურმა საპროცენტო დეფლატორმა 4.6% შეადგინა.






**2025 წლის სექტემბერში\* ნაერთი ბიუჯეტის დადებითი მთლიანი სალდო დაფიქსირდა.**

სექტემბერში\*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები 12.8%-ით, ხოლო ხარჯები 15.4%-ით გაიზარდა. აღნიშნულ პერიოდში ნაერთი ბიუჯეტის დადებითი საოპერაციო სალდო 654.1 მლნ ლარით, ხოლო დადებითი მთლიანი სალდო 146.7 მლნ ლარით განისაზღვრა.

აღსანიშნავია, რომ 2025 წლის სექტემბერში\* საგადასახადო შემოსავლებმა 2,262.1 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 12.1%-ით აჭარბებს. ამავე პერიოდში გაიზარდა ქონების გადასახადი (13.4%-ით), საშემოსავლო გადასახადი (13.3%-ით), დღგ (13.0%-ით) და აქციზი (11.6%-ით). შემცირდა მოგების გადასახადი (5.8%-ით) და იმპორტის გადასახადი (0.4%-ით). პირდაპირი გადასახადების წილმა მთლიან გადასახადებში 45.3%, ხოლო არაპირდაპირმა გადასახადებმა 54.7% შეადგინა.

სექტემბერში\*, წინა წლის შესაბამის მონაცემთან შედარებით, არაფინანსური აქტივების შექენის 2.6%-იანი კლება (15.2 მლნ ლარით ნაკლები) დაფიქსირდა.




**2025 წლის სექტემბერში\*, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ეროვნულ ეკონომიკაზე როგორც ლარში, ასევე უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები გაიზარდა.**


სექტემბერში\*, წინა წლის აგვისტოსთან მიმართებით, კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემულმა სესხებმა 13.2%-ით მოიმატა და 65,119.2 მლნ ლარი შეადგინა. მათ შორის, ლარში გაცემული სესხები 16.0%-ით, ხოლო უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები 9.4%-ით გაიზარდა. კომერციული ბანკების მიერ გაცემულ სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელმა 42.1% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემული სესხების ნახევარზე მეტი (54.0%) შინამეურნეობებზე მოდის (შინამეურნეობებზე გაცემული სესხების 85.0% ფიზიკურ პირებზეა, 15.0% კი ინდემნარმეებზე). შინამეურნეობებზე გაცემული სესხების 38.0% სამომხმარებლო სესხია, ხოლო 62.0% უძრავი ქონებით არის უზრუნველყოფილი.

საქმიანობის სახეების მიხედვით, გაცემულ სესხებში ყველაზე მეტი - 21.9% გაცემულია მშენებლობის დარგში, 21.1% - ვაჭრობის, 16.8% - მრეწველობის, 14.4% - უძრავი ქონებით ოპერაციების, 6.1% - სასტუმროებისა და რესტორნების დარგში.

**სესხები საქმიანობის სახეების მიხედვით (ნაშთები)**



## 2. საგარეო სექტორის ინდიკატორები




2025 წლის იანვარ-სექტემბერში\*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, გაიზარდა როგორც საქონლის ექსპორტი, ისე იმპორტი.

2025 წლის იანვარ-სექტემბერში\* ექსპორტმა 7.7%-ით, ხოლო იმპორტმა 9.7%-ით მოიმატა, რის შედეგადაც სავაჭრო ბრუნვა (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 9.1%-ით გაიზარდა და 18,545.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ექსპორტის წილი სავაჭრო ბრუნვაში 27.8%-ით განისაზღვრა. უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნებიდან ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნა ტაჯიკეთში (316%), აგრეთვე - ბულგარეთში (190%), უზბეკეთში (56%), ყირგიზეთში (19%), რუსეთში (4%) ყაზახეთში (4%) და სხვა ქვეყნებში. ექსპორტი შემცირდა თურქეთში (32%), სომხეთში (16%), ჩინეთი (7%), ამერბაიჯანში (3%) და სხვა.


იანვარ-სექტემბერში\* საექსპორტო საქონლის მიხედვით, ზრდა დაფიქსირდა: ძვირფასი ლითონების მადნების (63%), უაღკოპოლო სასმელები (22%), მსუბუქი ავტომობილების (14%), ოქროს (13%), ავტოტრანსპორტის სასაშუალო საშუალებების (7%), მინერალური და მტკნარი წყლის (1%) ჯგუფებში. შემცირდა ფეროშენადნობების (33%), ნატურალური ღვინის (12%), სპირტიანი სასმელების (5%) საზღვარგარეთ გატანა.

უმსხვილესი საექსპორტო საქონელი  
(იანვარი - სექტემბერი)




2025 წლის იანვარ-სექტემბერში\* ტრანსპორტირების სახეების მიხედვით ექსპორტის უდიდესი ნაწილი - 71.2% საავტომობილო ტრანსპორტით განხორციელდა, 20.9% - საზღვაო, 4.1% - საჰაერო, 3.3% სარკინიგზო ტრანსპორტით. ტრანსპორტირების დანარჩენი (მაგისტრალური მილსადენი, ელექტროგადამცემი ხაზები და სხვა) საშუალებების წილმა მხოლოდ 0.5% შეადგინა.

ექსპორტი ტრანსპორტირების სახეების მიხედვით  
(იანვარი - სექტემბერი)




ამავე პერიოდში იმპორტის მნიშვნელოვანი ნაწილი - 43.6% საავტომობილო ტრანსპორტირებით განხორციელდა, 38.8% - საზღვაო, 10.3% - საჰაერო, 5.1% კი სარკინიგზო ტრანსპორტით. ტრანსპორტირების დანარჩენი სახეების წილმა 2.3% შეადგინა.

იმპორტი ტრანსპორტირების სახეების მიხედვით  
(იანვარი - სექტემბერი)




იანვარ-სექტემბერში\* საქართველოს ადგილობრივი ექსპორტი 2,348.8 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 7.5%-ით მეტია. აღნიშნულ პერიოდში 10 უმსხვილეს ქვეყანას, სადაც ადგილობრივი ექსპორტი განხორციელდა, წარმოადგენდა: რუსეთი (მთლიანი ადგილობრივი ექსპორტის 22%), თურქეთი (9%), ჩინეთი (8%), ბულგარეთი (8%), სომხეთი (6%), ამერბაიჯანი (6%), შვეიცარია (3%), ყაზახეთი (3%), იტალია (3%), აშშ (3%).

ფულადი გზავნილები (%)  
ჩარიცხვები, სექტემბერი



მთლიანი საერთაშორისო რეზერვები  
(მლნ აშშ დოლარი)



2025 წლის სექტემბერში\* ფულადი გზავნილები გაიზარდა.

სექტემბერში\*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, საქართველოში ფულადი გზავნილების ჩარიცხვები 12.1%-ით გაიზარდა და 317.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (144.3 მლნ აშშ დოლარი, გზავნილების მთლიანი ოდენობის 45.4%) და აშშ (59.7 მლნ აშშ დოლარი, 18.8%) წარმოადგენდნენ.


რუსეთიდან გზავნილები 10.2%-ით გაიზარდა და 39.5 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა (წილი 12.4%).

საანალიზო პერიოდში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ფულადი გზავნილების ოდენობა იტალიიდან (54.1 მლნ აშშ დოლარი, წილი 17.0%), აგრეთვე - გერმანიიდან (29.8 მლნ აშშ დოლარი), საბერძნეთიდან (26.0 მლნ აშშ დოლარი), ისრაელიდან (23.3 მლნ აშშ დოლარი), თურქეთიდან (10.3 მლნ აშშ დოლარი), ყირგიზეთიდან (8.6 მლნ აშშ დოლარი), ესპანეთიდან (7.7 მლნ აშშ დოლარი) და სხვა ქვეყნებიდან.

2025 წლის ოქტომბერში საერთაშორისო რეზერვებმა 5,603 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

ოქტომბერში, საერთაშორისო რეზერვების მოცულობა 5,603 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც 2024 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით, 37.2%-ით, ხოლო წინა თვესთან მიმართებით კი 3.2%-ით გაიზარდა. 2025 წლის ოქტომბერში საქართველოს ეროვნულ ბანკს სავალუტო აუქციონზე ოპერაციები არ განუხორციელებია.

რეზერვების ადეკვატურობის შესაფასებლად, როგორც წესი, გამოიყენება 3 თვის იმპორტის ჯრადი. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ბმული.




### 3. მონეტარული სექტორის ინდიკატორები

2025 წლის სექტემბერში\*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მონეტარული ბაზა გაიზარდა.

სექტემბერში\*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მონეტარულმა ბაზამ 17.9%-ით მოიმატა. მათ შორის, მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფული 7.8%-ით, ხოლო სხვა დეპოზიტური კორპორაციების მიმართ ვალდებულებები 29.8%-ით გაიზარდა.


ამავე პერიოდში ფულის M2 აგრეგატმა 12.5%-ით მოიმატა, ხოლო M3 აგრეგატის ზრდის ტემპი 14.2%-ს გაუტოლდა. 2025 წლის ოქტომბერში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, სამომხმარებლო ფასების ინფლაციამ 5.2% შეადგინა.

ფულის მასა და სამომხმარებლო ფასები (%-ლი ცვლილება)



2025 წლის ოქტომბერში მთავრობის მიერ ემიტირებულმა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნომინალურმა ღირებულებამ 10,991.4 მლნ ლარი შეადგინა. მათ შორის: 72.6% კომერციული ბანკების მფლობელობაშია, 11.5% - ეროვნული ბანკის, ხოლო 15.9% სხვა რეზიდენტი და არარეზიდენტი კლიენტების მფლობელობაში (რეზიდენტი - 14.2%, არარეზიდენტი - 1.6%).

სახაზინო ფასიანი ქაღალდები მფლობელების მიხედვით (ოქტომბერი)




2025 წლის სექტემბერში\*, კომერციული ბანკების მიერ მოზიდულმა დეპოზიტების საერთო მოცულობამ (ნაშთმა) 67,272.0 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 13.6%-ით აღემატება. მათ შორის, ეროვნულ ვალუტაში განთავსებულმა დეპოზიტებმა 50.1% შეადგინა, შესაბამისად, უცხოურ ვალუტაში განთავსებულმა დეპოზიტებმა კი 49.9%.

სექტემბრის\* თვის ბოლოს არსებული მონაცემებით, ეროვნულ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 63.9% იურიდიულ პირებს, ხოლო 36.1% ფიზიკურ პირებს ეკუთვნის.


ამავე პერიოდში უცხოურ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 64.1% ფიზიკური პირების საკუთრებაა, ხოლო 35.9% იურიდიული პირების მფლობელობაშია.

დეპოზიტები სექტემბერი



ეროვნულ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 53.4% ვადიანი დეპოზიტებია, 23.8% მოთხოვნამდე დეპოზიტები, ხოლო 22.9% მიმდინარე ანგარიშები. უცხოური ვალუტის შემთხვევაში, ყველაზე დიდი წილი ვადიან დეპოზიტებს უკავია (41.2%), შემდეგ - მოთხოვნამდე დეპოზიტებს (33.5%) და მიმდინარე ანგარიშებს (25.3%).

დეპოზიტები და დოლარიზაციის კოეფიციენტი (მლნ ლარი, %)




2025 წლის სექტემბერში\*, წინა თვესთან შედარებით, დოლარიზაციის მაჩვენებელი დეპოზიტებზე გაიზარდა, ხოლო სესხებზე შემცირდა.

სექტემბერში\*, წინა თვესთან მიმართებით, დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი 0.07 პპ-ით გაიზარდა და 47.4%-ით განისაზღვრა, სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელი კი 0.17 პპ-ით გაიზარდა და 42.1% შეადგინა.


სექტემბერის\* თვეში, წინა თვესთან შედარებით, ეროვნული ვალუტით განთავსებული დეპოზიტები 3.4%-ით, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტების მოცულობა 3.7%-ით გაიზარდა.

სესხები და დოლარიზაციის კოეფიციენტი (მლნ ლარი, %)




2025 წლის სექტემბერში\*, სამომხმარებლო სესხების მოცულობამ 13,905.7 მლნ ლარი შეადგინა, ანუ წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 22.5%-ით მეტი. მათ შორის, გრძელვადიანი სესხების წილი 96.7%-ია, ხოლო მოკლევადიანის - მხოლოდ 3.3%.

სამომხმარებლო სესხები (სექტემბერი)



ამავე პერიოდში, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების მოცულობამ 44,213.5 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 12.8%-ით აღემატება. აქედან, ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების წილი 49.8%-ია, ხოლო უცხოური ვალუტით - 50.2%.

უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები (სექტემბერი)




სექტემბერის\* ბოლოს არსებული მონაცემებით, რეგიონების მიხედვით, კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ვალუტაში სესხების 64.0% გაცემულია თბილისში, 7.6% - იმერეთში, 7.3% - აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, 4.9% - კახეთში, 4.7% - ქვემო ქართლში, 4.2% - სამეგრელო-ზემო სვანეთში. სხვა რეგიონებში გაცემული სესხების წილი შედარებით მცირეა.

2025 წლის სექტემბერში\*, წინა თვესთან მიმართებით, საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტებზე 0.24 პპ-ით, ხოლო სესხებზე 0.31 პპ-ით გაიზარდა.


სექტემბერში\*, საბაზრო საპროცენტო განაკვეთმა სესხებზე 14.0% შეადგინა, ხოლო დეპოზიტებზე 6.9%-ით განისაზღვრა. საპროცენტო განაკვეთის სპრედმა (სხვაობა სესხებსა და დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთებს შორის), აგვისტოს\* მდგომარეობით, 7.0% შეადგინა, 1.20 პპ-ით მეტი წინა წლის სექტემბერთან შედარებით.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის 2025 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილებით, რეფინანსირების განაკვეთი უცვლელი დარჩა და კვლავ 8.0% შეადგინა.

საბაზრო საპროცენტო განაკვეთები სესხებსა და დეპოზიტებზე (%)



ლარის გაცვლითი კურსის ინდექსები (ინდექსის ზრდა ნიშნავს ლარის გამყარებას, კლება - გაუფასურებას)



2025 წლის ოქტომბერში, წინა თვესთან შედარებით, ლარი როგორც აშშ დოლართან მიმართებით გაუფასურდა, ხოლო ევროს მიმართ გამყარდა. ოქტომბერში, წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 0.3%-ით გაუფასურდა, ევროს მიმართ 0.3%-ით გამყარდა, ხოლო თურქულ ლირასთან მიმართებით 0.9%-ით გამყარდა. ამავე პერიოდში გამყარდა ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი. რაც შეეხება გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებას, ოქტომბერში ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 0.4%-ით გამყარდა, ევროს მიმართ 5.9%-ით გაუფასურდა, ხოლო თურქულ ლირასთან მიმართებით 22.6%-ით გამყარდა.

ოქტომბერის თვეში, პერიოდის საშუალო ლარის გაცვლითმა კურსმა აშშ დოლართან მიმართებით 2.72, ევროს მიმართ 3.16, თურქულ ლირასთან მიმართებით კი 0.06 შეადგინა.


## 4. სოციალური სფეროს მიმოხილვა

2025 წლის II\* კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი გაიზარდა.


2025 წლის II\* კვარტალში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიურმა ნომინალურმა ხელფასმა 2,212.0 ლარი შეადგინა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 10.3%-ით (207.1 ლარით) მეტი, ხოლო წინა კვარტალთან მიმართებით 1.9%-ით (41.9 ლარით) მეტია.

რაც შეეხება დარგების მიხედვით საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის ცვლილებას, 2025 წლის II\* კვარტალში ყველაზე მაღალი საშუალო თვიური ხელფასი დაფიქსირდა ინფორმაციისა და კომუნიკაციის (4,176.5 ლარის ოდენობით, 5.4% წლიური ზრდა), საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობის (3,732.2 ლარის ოდენობით, ზრდა 2.5%), მშენებლობის (3,467.7 ლარი, ზრდა 17.7%), აგრეთვე პროფესიული, სამეცნიერო-ტექნიკური საქმიანობის დარგებში (2,995.3 ლარი, ზრდა 4.3%).

დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი (ლარი)



სახელმწიფო დანახარჯები განათლებასა და ჯანდაცვაზე (მლნ ლარი)



2025 წლის სექტემბერში\*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, სახელმწიფო დანახარჯები განათლებაზე შემცირდა, ხოლო ჯანდაცვაზე გაიზარდა.


სექტემბერში\*, განათლებაზე განუღმა ხარჯებმა (ფუნქციონალურ კლასიფიკაციაზე დაყრდნობით) 192.8 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემთან მიმართებით, 18.7%-ით ნაკლებია. ჯანდაცვაზე განუღმა დანახარჯები კი 175.4 მლნ ლარით განისაზღვრა, ანუ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 24.1%-ით მეტი.

## 5. რეგიონული მიმოხილვა


2025 წლის ოქტომბერში, რეგიონის ქვეყნებში, თურქეთის გარდა, სამომხმარებლო ფასების ინფლაცია დაახლოებით მსგავსი დინამიკით ხასიათდება.

კერძოდ, საანალიზო პერიოდში თურქეთში წლიურმა ინფლაციამ 32.9%, ხოლო სომხეთში 3.7% შეადგინა. რაც შეეხება აზერბაიჯანსა და რუსეთს, 2025 წლის სექტემბრის მდგომარეობით, სამომხმარებლო ფასები, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, აზერბაიჯანში 5.7%-ით, რუსეთში კი 8.0%-ით შემცირდა.

წლიური ინფლაცია  
ოქტომბერი



გაცვლითი კურსის წლიური ცვლილება  
ოქტომბერი



2025 წლის ოქტომბრის თვეში, რეგიონის ქვეყნების ვალუტების გაცვლითი კურსები, აშშ დოლართან მიმართებაში, თურქული ლირის გარდა გამყარდა. კერძოდ, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ოქტომბერში აშშ დოლართან მიმართებით თურქული ლირა 18.1%-ით გაუფასურდა, რუსული რუბლი 18.5%-ით, სომხური დრამი კი 1.2%-ით, ქართული ლარი 0.4%-ით, აზერბაიჯანული მანათი კი 0.00001%-ით გამყარდა.

## ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შემაჯამებელი ცხრილები

	ოქტ 24	ნოვ 24	დეკ 24	იან 25	თებ 25	მარ 25	აპრ 25	მაი 25	ივნ 25	ივლ 25	აგვ 25	სექ 25	ოქტ 25
მშპ-ს ზრდის ტემპი (%)	11.0	7.5	6.7	11.1	7.7	9.0	7.5	7.5	6.3	6.5	6.6	6.4	
დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი (%)	14.7	10.1	10.1	14.7	8.7	10.8	9.4	13.0	8.7	9.2	9.0	9.2	
ინფლაცია (%)	0.3	1.3	1.9	2.0	2.4	3.5	3.4	3.5	4.0	4.3	4.6	4.8	5.2
მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი (%)	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00
დეპოზიტების დოლარიზაცია (%)	0.47	0.49	0.50	0.49	0.51	0.50	0.49	0.49	0.48	0.47	0.47	0.47	
სესხების დოლარიზაცია (%)	0.43	0.43	0.43	0.44	0.43	0.43	0.43	0.43	0.43	0.42	0.42	0.42	
გაცვლითი კურსი (ლარი)	2.73	2.74	2.81	2.84	2.82	2.78	2.75	2.74	2.73	2.71	2.70	2.71	2.72
გზავნილები (ათასი აშშ დოლარი)	281,060	266,696	285,395	242,440	252,282	291,863	295,541	317,421	315,507	336,988	321,548	317,792	
ექსპორტი (მლნ აშშ დოლარი)	682	543	549	404	432	562	617	580	640	610	603	703	
იმპორტი (მლნ აშშ დოლარი)	1,506	1,476	1,699	1,704	1,232	1,519	1,522	1,481	1,503	1,586	1,406	1,440	
სავაჭრო ბალანსი (მლნ აშშ დოლარი)	-824.4	-933.3	-1,149.3	-1,299.9	-800.9	-956.5	-905.6	-901.0	-862.4	-975.8	-802.9	-737.3	
საერთაშორისო რეზერვები (მლნ აშშ დოლარი)	4,085	4,124	4,449	4,436	4,234	4,311	4,518	4,585	4,688	5,020	5,204	5,428	5,603
შემოსავლები (მლნ ლარი)	2,011	2,003	2,598	2,213	1,956	2,372	2,059	2,819	2,609	2,387	2,117.9	2,499.4	
მიმდინარე ხარჯები (მლნ ლარი)	1,937	1,721	2,648	1,932	1,851	1,955	1,940	1,872	2,000	2,252	1,724.8	1,845.3	
კაპიტალური ხარჯები (მლნ ლარი)	567	456	1,147	392	380	406	397	332	454	371	400.2	578.5	

ზრდა
  კლება
  ცვლილება < 1%

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება გასული წლის შესაბამისი თვის ანალოგიურ მონაცემებთან

		ოქტ 24	ნოვ 24	დეკ 24	იან 25	თებ 25	მარ 25	აპრ 25	მაისი 25	ივნ 25	ივლ 25	აგვ 25	სექტ 25	ოქტ 25
რეალური სექტორი	მშპ-ს ზრდის ტემპი													
	დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი													
მონეტარული სექტორი	ინფლაცია													
	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი													
	დეპოზიტების დოლარიზაცია													
	სესხების დოლარიზაცია													
სავაჭრო სექტორი	გაცვლითი კურსი													
	გზავნილები													
	ექსპორტი													
	იმპორტი													
	სავაჭრო ბალანსი													
	საერთაშორისო რეზერვები													
ფისკალური სექტორი	შემოსავლები													
	მიმდინარე ხარჯები													
	კაპიტალური ხარჯები													

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება წინა თვის ანალოგიურ მონაცემებთან

		ოქტ 24	ნოვ 24	დეკ 24	იან 25	თებ 25	მარ 25	აპრ 25	მაისი 25	ივნ 25	ივლ 25	აგვ 25	სექტ 25	ოქტ 25
რეალური სექტორი	მშპ-ს ზრდის ტემპი													
	დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი													
მონეტარული სექტორი	ინფლაცია													
	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი													
	დეპოზიტების დოლარიზაცია													
	სესხების დოლარიზაცია													
სავაჭრო სექტორი	გაცვლითი კურსი													
	გზავნილები													
	ექსპორტი													
	იმპორტი													
	სავაჭრო ბალანსი													
	საერთაშორისო რეზერვები													
ფისკალური სექტორი	შემოსავლები													
	მიმდინარე ხარჯები													
	კაპიტალური ხარჯები													

დოკუმენტი ინტერაქტიულ ფორმატში  
შეგიძლიათ იხილოთ



ინტერაქტიული სტატისტიკა (ინფოგრაფიკები)  
შეგიძლიათ იხილოთ

